საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 10 ივნისი, 2019 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/04

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, უნივერისიტეტის წესდების მე-17 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის № 04-01/88 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციაში და ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამართლებრივი აქტი (პროექტი) საჭიროებს უნივერსიტეტის იურისტის/საფინანსო სამსახურის უფროსის (კომპეტენციის შესაბამისად) და იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთა ვიზებს, რომლებმაც მოამზადეს პროექტი ან/და რომელთა მიმართ აღნიშნული აქტი ითვალისწინებს შესაბამის დავალებებს, ასევე, იმ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ვიზებს, რომელთა ვიზირების (კომპეტენციის შესაბამისად) აუცილებლობას მიიჩნევს სამართლებრივი აქტის/წერილის პროექტის ავტორი.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**